№ 2980
ხუთშაბათი,
17 იანვარი

ცნობის ფურცელი

№ 2980
ხუთშაბათი,
17 იანვარი

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ფასი: ერთი თვით 2 მან., სამი თვით 5 მან., ექვსი თვით 10 მან., ერთი წლით 20 მან. ფასი განსაკუთრებულ ნომრისა 5 კაპ.

ტფილისში: ფოსტის ოფისში.

ტელეფონი № 372

ბაზრობა ღიაა: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებით—50 კ., დამატებით—75 კ.; ნომერ.—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განსაკუთრებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში განწყობილებისა ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტლინის და კომპ. ჯ-ნცხადებათა კონტორებში მოსკოვში და პეტერბურგში.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გ-მოგზავნილნ.—პირადაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუა, დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავა ბოლთა გრაცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цховрисъ-Purceli“-„Моамбе“. ТЕЛЕФОНЪ № 372

რედაქციისაგან.

დღეიდან მყვლ სულის მოწერებს, ვინც ხელის მოწერა არ განაახლოს, გაზეთი აღარ ეგზავნება.

„ცნობის ფურცელი“ წელიწადში ღირს . . . . 6 მან.
„ნაპერწკალი“ „ „ . . . . 4 მან.
ორივე ერთად „ „ . . . . 7 მან.

კნინაქნა ნატალია ივანეს ასული ბარათოვისა, კნინა ბარბარე მელიტონის ასული ვეზიროვისა და კნინა სოფიო მელიტონის ასული სუმბათოვისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვლებას პირველი დეკის, ხოლო უკანასკნელნი დის

კნინა ნინა მელიტონის ასული გარათოვისა.

მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 10 საათზე სლავიანის ქუჩიდან № 5 კერის წმიდა ნაკოლოს ეკლესიაში, სადაც იქნება დაკრძალული. (1—1)

ა. პ. შულგინა-მესხი

გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვიერის დიდმართი № 1 (ო.ვ.).

სამეურნალო ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლიანით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

ბინაზედ გარედან მოსარჩევად ავადმყოფები

მ. ზ. აღაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერ. სიფილისის და ნაწლავების ავადმყოფობაში.

ე. ნ. ჟმაიაკოვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტროთი წამლობა.

პ. ნ. დეიერი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ე. ავდეიცოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სალოსტაჩრა ავადმყოფობანი.

მ. ა. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამეურნეოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყველაზე ცარა და ძიძების გასინჯვა. ფასი ჩრეცისათვის 50 კაპ. ანალიზები და კონსულტაციები მორიგეობით. სატატისტიკო განყოფილება შეიცავს სახოგადო ბალატას და ცალკე ოთახებს. (150—41)

მედიცინის დოქტორი

მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად სანერვეებს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საჭიროს რაზმის პირდაპირ. ტელეფონის 711. (51—368—45)

ექიმი

მ. ა. გედალინი

მაღათიანის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიენ და კანის სნენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე, საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (31—5.—16)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი

ვ. ს. ფუსკელოვიანი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს.

კუთხე ერორანის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ბიბლის ექიმმა

ი. ზ. კანდელაკმა

განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწავლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხვას ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პრისპექტი, მატრონოვის ს-ხლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქინიკო-ნიკროსკოპიული გამოკვლევა. (2—17)

ექიმი

მ. ა. ბეჩიაგაშვილი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ (ოვ.—25)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოთხისა (№ 32) და ბიცის ქ. (№ 21) კუთხეში, ფეშაოს ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდისს ქვრივ-უქმეებით 10—1-მდის.

ყარსის ციხის აღება.

(ლაპარაკში ეტყობოდა, რომ ეს კაპიტანი გადაკრულში იყო). ბ-ნი სტაროსელსკი, თუ 24 საათის განმავლობაში არ წარმოიდგენთ 140 პირს და არ დატუსტდებით, მაშინ მე ერთი ათათ მეტს ჩამოვახრჩობინებთო. გარდა მაგისა თქვენც ბ-ნო გუბერნატორო, დატუსტდებული იქნებითო“.

როგორც გამოირკვა, ეს „კაპიტანი“ ცოტა ხნის წინად მისულა ყაზახთა და ტანდრმთა პოლკოვნიკებთან, რომელნიც მას რიგიანად და მოწონებით დახვედრიან. გუბერნატორმა დაამშვიდა „კაპიტანი“, სთხოვა წუ ღელავთო, და თქვენ ეჩნობის დოკუმენტები წარმომიდგინეთ, რომ ვიცოდე ვისთანაც საქმეო. „კაპიტანმა“ უპასუხა, წუ თუ არ გეყოფთ საბუთად მზოლოდ ის, რომ პირადაპირ ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით ვარ გამოგზავნილი.

მოვიდა დებეში ალიხანოვისაგან. ამ დებეშით იბარებდნენ ყვირილაში გუბერნატორს სტაროსელსკის და მის თანაშემწეს ყაენ შიძეს. ეს პირნი მოეშაღნენ წასასვლელად და ვიდრე წვიდოდნენ, სტაროსელსკის სახლს შემორტყნენ სალდათები, რომელნიც ტყვედ იყვნენ ჭიათურაში, ორშოკ-დათ შეიარაღებულ ყაზახიდან და რამდენიმე ყაზახის ოფიცერი. ამათ მოჰყვა ზემოხსენებული „კაპიტანი“. გამოიხედა გუბერნატორი და უთხრეს, უთუოდ უნდა დიგვიბრუნოთ ჩვენი იარაღიო. სტაროსელსკიმ დაამშვიდა ჯარი და პატიოსანნი სიტყვა მისცა, ყოველ საშუალებას ვიხმარ, რომ იარაღი დაგიბრუნდეთო. იქიდანვე ლაპარაკის დროს გაჩნდნენ გარნიზონის უფროსი გენერალი შაშკოვსკი და პოლკების უფროსები, რომელთაც დაამშვიდეს სალდათები და დაიყოლიეს თავიანთ ჯაზარებში წასულიყვნენ. სტაროსელსკი და ყიზმაძე ყვირილისაკენ წვიდნენ; მათ გაჰყვნენ ჯანდარმების პოლკოვნიკი და ზემო-ხსენებული კაპიტანი.

ამისთანა ამბებმა თავ-ზარი დასცა ქალაქის მცხოვრებთ.

12 იანვარს გაიგეს, რომ ალიხანოვს გუბერნატორად დაენიშნა ნ. ჯ. პრინცი, ხოლო ვიცე-გუბერნატორად—ქუთაისის მაზრის უფროსი თავ. დადეშკელიანი.

ამაგე დღეს ზემოდ ხსენებული „კაპიტანი“ მივიდა ქუთაისში გუბერნატორ სტაროსელსკის ცოლთან და გამოუცხადა: „უხელეს მთავრობის განკარგულებით, თქვენი ქმარი წაყვანილ იქნება ყარსში და იქ უნდა სიკვდილით დაისაჯოს. ამას მე თქვენ გეუბნებით სიიდუმლოდ და თუ თქვენ ეს გამოაშკარავეთ, მაშინ თქვენც სამარცხვინო იქნებით მიცემულნი.“

ყვირილაში ალიხანოვმა გაიგო ამ „კაპიტანის“ ამბები. ალიხანოვმა მაშინ კასკა ბრძანება, შეეპყრო იგი. ეს კაპიტანი უკვე შეუპყრიათ ფოთში. სადაც იგი გაქცეულა.

12 იანვარს ქუთაისში დაიწყო ხალხის დატუსტება. მარტო ამ დღეს დაატუსეს ოცდა ათ კაცამდე. მათ შორის არიან: სილოვან ხუნდაძე, ს. ა. გოთუა, რედაქტორი გაზეთ ვოზროჟდენიის. (რიონში შეიპყრეს და ქუთაისში მოიყვანეს) ე. იასონ ნიკოლაშვილი, ალექსანდრე გარსევანიშვილი და სხვანი. შემდეგ დღეებშიაც ბევრი დატუსაღეს ხალხი.

ლ—ტი.

სამგრეთია. სამტრედიაში საშინელი ხმები მოვიდა. ელვასავით მოვიდა ორეშმარეს, რომ ყვირილას, ქუთაისს, ბელადგორს ცეცხლი უკიდიათ და ხალხს ხვრეტენო. მაშინვანვე ვაჭრებმა დაალაგიერეს დუქნები, მცხოვრებნი სოფლებში გაეძქცნენ, რკინის გზის მოსამსახურეებიც ჰგზავნიან თავიანთ ცოლ-შვილს სოფლებში, სადგური და ახლო-მახლო დაბა სულ მთლად დაცალიერდა.

ჭიათურა. ჭიათურასა და საჩხერეში 12 იანვარს მოკიდნენ ყაზახები აქაურობა გასჩხრიკეს. მცხოვრებნი დაიმალნენ. შავ ქვაზე მოშუშავე მუშები აღარ სჩანან.

ბელადგორი. 13 იანვარს აქვე ექვსი კაცი დაჰპატიმრეს. ამბობენ, მილიციონერები არიანო.

ოზურგეთი. აქ შემოვიდა ჯარი, რომელსაც მიუძღოდა პოლკოვნიკი კრილოვი. მცხოვრებნი ტყეში წვიდნენ. ასტედა სროლა. ამას ცეცხლი მოჰყვა, ასე რომ ოზურგეთი ამ ქამად იწვის.

ფოთი. 14 იანვარს ფოთში ვიღაცამ რევოლვერით მოჰკლა კერძო ვექილი. გარნიზონმა დაიწყო ჩხრეკა და ბრძნა დამნაშავეს. ამას მოჰყვა სროლა და ცეცხლი. იწვის ერთი ნაწილი ფოთისა. ფოთსა და გარეშემო გაფხიკვნა სრული მშვიდობიანობა იყო.

ყვირილა. ხალხი წარსდგა გენერალ ალიხანოვის წინაშე თეთრ ბაირაღებით და ხელმწიფის სურათით და სთხოვა შეწყალებება, უეელაფერს ეკისრებიანო. 14 იანვარს საჩხერეში საზოგადოება, ოთხი-ხუთი ათასი კაცი, შეიკრიფა, მოკიდა თეთრის ღროშით, ღვთის მშობლის სატით და სთხოვა შებრალება. მათ დაეკვლით გასცეს არეულობის მთავეენი და დაიბრუნონ თოფები, 15 იანვრისთვის ხალხმა პირობა მისცა, ყველაფერს დავასახლებეთო.

ქართლში

ცხინვალი. 10 იანვარს დ. ცხინვალში მოვიდა ჯარი: ორი როტა ნოვომაიაზეთის პოლკისა, ერთი სოტნა ყაზახი და ორი ზარბაზანი ოფიცრებით და სამხედრო სურსათით. დილითვე ცხინვალს ალყა შემოარტყეს. ყაზახები კი დასაზვერად შეცვივდნენ ქალაში. როცა დარწმუნდნენ, რომ ქუჩებში შეიარაღებული არავინ იყო, მთელის რაზმით შემოვიდნენ შიგ დაბაში. სალდათებმა და ყაზახებმა იწყეს სიარული ქუჩებში. ცოცა-ტყეება დიდი იყო. სხვათა შორის, თოფის კონდახით ნაცემი აღმოჩნდა სომხის მღვდელი ხახანაძეც.

მოსულთანავე რაზმის უფროსმა გასცა ბრძანება, შეკრებილიყვნენ მცხოვრებნი. 12 საათზე ხალხი შეიკრიბა სასწაულებლის ეზოში. მაშინვე ყაზახებმა წრე შემოარტყეს. გარნიზონის უფროსმა კაზლოვსკიმ ხალხს წინადადება მისცა, გაიცათ იგიტატორები, გადაეცათ იარაღი და სხვა. ხალხმა ერთხმად განუცხადა, რომ მათ შორის აგიტატორები არ არიან, და თუ როდისმე იყვნენ, ისინი სხვა ადგილებიდან იყვნენ მოსულნი და არ იციან, ახლა სად არიან; იარაღიც არა გვაქვსო.

ასე წრე შემორტყმული იყვნენ თითქმის 7 საათამდის. მერე უფროსმა უბრძანა ხალხს, ამიერიდან 12 კაცი, რომელთაც უნდა მოლაპარაკებოდა. ხალხმა შეახერხა. ეს 12 კაცი ეხლაც არ გაუთვისუფლებიათ. მეორე დღეს, 11 იანვარს, რაზმის უფროსმა გადაწერილი გამოუცხადა, რომ თუ 13 იანვრამდის იარაღი და აგიტატორები არ გადმომცეთ, ზარბაზებს დავიშმეთო.

ამავე დღეს სოფელ ქურთაში ზარბაზნით დაანგრიეს თავ. გიორგი მაჩაბლის სახლი. როგორც ამბობენ, თურმე სახლში მარტო ერთი მოხუცი მოსამსახურე იყო და კიდეც იმსხვერპლა ცეცხლმა. უნდოდათ თურთონ გიორგი მაჩაბელი დაეჭირათ, მაგრამ მაინ არ დახვდათ. გიორგი მაჩაბელს რაზმის წარმომქოლობას ამრალებენ.

ხ. მაჭავარიანი.

აზალი ამბავი

◆ **გენერალ გრიაზნოვის მოკვლა.** გუშინ, 16 იანვარს, ბარიათინსკის ქუჩაზედა, კავკასიის სამხედრო სანიტერო დისტანციის სადგომის წინ, დილის მეთორმეტე საათზედ, ტლუში ყუშაკა ესროლეს კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსს გენერალ-ლეიტენანტს თეოდორე თეოდორის ძეს გრიაზნოვს და მოჰკლეს. გენერალი გრიაზნოვი თავის სადგომიდან გამოსულა, ეტლში ჩამჯდარა და გენერალ ი. დ. მალამასთან რაღაც საქმისთვის წასულა. როცა ეტლს მცირე მანძილი გაუვლია, სამხედრო სანიტერო დისტანციასთან ვიღაცას გადუგდია ყუმბარა. როგორც დაჭრილმა მეეტლემ გადმოგვცა, ყუმბარა ჰაერშივე გამსკდარა და ნატეხები მოახვედრია გენერალს. ერთი მოახვედრია მარცხენა ყურს ზედით თავში და ისე ძლიერად, რომ გენერალი ეტლშივე გარდაცვლილა. ყუმბარის ნატეხებით დაჭრილი აგრეთვე ერთი ცხენი. ცხენები დამფრთხალან და ვაქანებულან ბარიათინსკის ქუჩის აღმართში. მეეტლეს როგორც იყო ცხენები შეუჩერებია და ხოლო ლის გვიან სანიტერო დისტანციასთან ვიღაცას გადუგდია ყუმბარა. როგორც მეეტლემ მეტყველ

მაღნენ. მომქედნი რკინის გზის მოსამსახურენი არიანო.

◆ ნამესტნიკის დეპეშა. პეტ. საგაზეთო გადმოგვცეს ნამესტნიკის შემდეგ დეპეშას, პეტერბურგში გაგზავნილს: „სოხუმის ოლქის უფროსმა მაცნობა, რომ ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვის დაწყებიდან მეამბოხენი სცდილობდნენ სოხუმისა და ბახნების ხელში ჩაგდებას, მაგრამ ვერ მოახერხეს. ქალაქში შემოღებულ იქნა გაძლიერებულ დაცვის წესები“ აგიტატორთა ნაწილი დაპატიმრებულ იქმნა. 22 დეკემბრის ცხოვრება ნორამლურ კალაპოტში ჩადგა. თუხარებს სამაგალითოდ უპირავთ თავი.“

◆ რას სწერენ რუსული გაზეთები. სატახტო ქალაქის გაზეთები შემდეგი ამბებია დაბეჭდილი: „ძალიან ოდნად გადასწყდა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის წასვლა. ყოველ ჯერად დაფინების თხოვნის გაანთავისუფლონ ნამესტნიკობისაგან, რადგან უძნელად არის. გრაფს უფრო თავის ქალის მდგომარეობა აწუხებს გრაფის ქალს ნერვები აქვს მოშლილი. იგი შემთხვევით მოწმე იყო ყუმბარის ფეთქებისა, რომელიც ყაზახებს ესროლეს. ამან ისე იმოქმედა, რომ ავად გახდა. კავკასიის დამშვიდების შესახებ გრაფი სანუგეშოს ვერას იუწყება. როგორც ჩმა დადის, ჯერ ისევ შეა დენებიც გრაფი იძულებული იყო ტფილისიდან წასულიყო და ჩაეტარებინა ციხე მონასტერში, რომელიც ბუნებრივ სამაგრეების გამო მიეღგომელია. გრაფი დაბრუნდა სანახლოში მხოლოდ მაშინ, როდესაც სიმშვიდე ჩამოვარდა. გრაფს წელიწადში ჯამაგირად ეძლიად 60,000 მანეთი“.

მეორე ამბავი: „კავკასიის ჯარს, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში გაიგზავნა დიდის წვლებით უხდება ბუნის გაკვლევა, რადგან ლიანდაგი ბევრგან გაფუჭებულია. დიდ ძალში შეიარაღებულმა მეგრელებმა და გურულებმა თავი მიიყარეს შორაპნის მაზრაში. ჯარის ნაწილი ნამესტნიკმა ლიანდაგით გაგზავნა. ეს ჯარი წვალებით იკვლევს გზას. მეორე ყარსიდან მიდის ართვინზე. ორ თქმა უნდა, ეს ორი რაზმი საკმაო არ არის აჯანყების ჩასაქრობად, რადგან გურულები და მეგრელები მშვენიერი მსროლელები არიან და იარაღს კარგად ხმარობენ. ქუთაისის გუბერნიის დაწყნარებას დიდი შრომა დასჭირდება“.

მესამე ამბავი: „არა მართლება ხმა მიასკოვის გენერალ-გუბერნატორის დებისოვის კავკასიის ნამესტნიკად დანიშვნის შესახებ. ამბობენ, კავკასიაში დანიშნავენ ადგილობრივ პირობების მცოდნე კაცს. ასეთ კაცებად ასახელებენ გენერლებს ბატიანოვს და ბარონ ზალეს.“

მეოთხე ამბავი: „სოხუმი შეიარაღებული აჯანყებაა. გაიმსხეს ჯარი. შემოიღეს საომარი წესები. აჯანყებულებმა მოჰკლეს ბაზინის საცდელ მინდორის გამგე ლიანდაგისა. ოლქის უფროსის სადგომი აღებულია. ქალდები დასწვეს.“

◆ გადმოსახლების საკითხი. როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, შიდა რუსეთიდან გაცილებლად ია ქართველთან ამ საქმის თვის უკვე გადასული თანხა და საგანგებო მოხელეებიც დანიშნა. სულ ამ წლის ხარჯთაღრიცხვაში შეიტანეს 550 ათასი მანეთი, გარდა იმ 74 ათას მანეთისა, რომელიც მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის განკარგულებაში ამ საქმისთვის. საგანგებო საქმეთა მოხელეებად დანიშნულ იქმნენ ივლიოვი, მულინი და მაკაროვი.

◆ უარი ბენეფისზე. „ხიცის“ რედაქტორს ვლ. ახმატოვიშვილს, რომელმაც შეიმდგომლობა აღძრა ახალ გაზეთის „ცხოვრების“ გამოცემის წესობის, უარი მოუვდა.

◆ სატეხნიკო სასწავლებელში. ტფრკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში ორშაბათს, 16 იანვარს, დაითხოვეს შემდეგი მოსწავლენი: ბარტნიცკი, ბახარიცე, შახვერდიანი, მარგანი, ეარონინი და ასმოლოვი. მოსწავლეები გაიფიცნენ გაფიცულები დათხოვნილების უკან დაბრუნების თხოვნისაგან.

◆ თავად-აზნაურთა კრება. ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: „უმორჩილესად ვსთხოვთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მობძანდნენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში, რათა მოაწერონ ხელი